ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1320030

ნომერი: AR1225891

თარიღი : 03.06.2014

გაცემის თარიღი : 24.06.2014

გაცნობის თარიღი : 25.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ორთაჭალა , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ადამია პ/ნ 61001020326
- ბათუმი ილია ჭავჭავაძის ქ. N 75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ნოემბრის №991274 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 3 ივნისს #AR1225891 განცხადებით მომართა შპს „მარკლაინის“ დირექტორმა მალხაზ ადამიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 11 ნოემბრის №991274 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ დამკვეთად გენადი კოგანის ნაცვლად შპს „მარკლაინის“ დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ნოემბრის №991274 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი (კრწანისი), ორთაჭალის ქ. #18-ში, მოქ. გენადი კოგანის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (რეგისტრაციის N882014191474, თარიღი:24/04/2014 ს/კ:01.18.06.006.076) თანახმად, დღეის მდგომარეობით სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შპს „მაკლაინი“. სამსახურში ასევე წარმოდგენილია დამკვეთის, გენადი კოგანის მიერ მალხაზ ადამიაზე გაცემული მინდობილობა (#140471376, თარიღი: 13.05.14წ.), რომლითაც მას ენიჭება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშე¬ნებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

ვინაიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად სამშენებლო მიწის ნაკვეთის ახლანდელ მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მარკლაინი“ და მას აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 63–ე მუხლის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილედეს შპს „მარკლაინის“ დირექტორის მალხაზ ადამიას 2014 წლის 3 ივნისის #AR1225891 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 11 ნოემბრის №991274 ბრძანებაში, კერძოდ დამკვეთად დაფიქსირდეს შპს „მარკლაინი“;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას თბილისის არქიტეტურის სამსახურის 2013 წლის 11 ნოემბრის №991274 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.